მოწყობილობის დანიშნულება

ქურის ზედაპირი განკუთვნილია საკვები პროდუქტებისა და კერძების მოსამზადებლად, ასევე გასაცხელებლად.

უსაფრთხოების ზომები

- არ გამოიყენოთ მოწყობილობა გასათბობად.
- გამოიჩინეთ სიფრთხილე: ქურის ზედაპირს აქვს ბასრი კიდეები და მასთან გაუფრთხილებელმა მოპყრობამ შესაძლოა გამოიწვიოს ტრავმები და ჭრილობები.
- ჭრილობების თავიდან ასაცილებლად, ქურის ზედაპირის საფხეკი (არ შედის კომპლექტში) გამოიყენეთ განსაკუთრებული სიფრთხილით და ყოველთვის შეინახეთ ბავშვებისთვის უსაფრთხო და მიუწვდომელ ადგილას.
- არ გამოიყენოთ მოწყობილობა სამუშაო ზედაპირად.
- ნუ განათავსებთ დამაგნიტებულ საგნებს (მეხსიერების ბარათები, საბანკო ბარათები) ან ელექტრონულ მოწყობილობებს (ნოუთბუქები, სმარტფონები, პლანშეტები და ა.შ.) ქურის ზედაპირთან ახლოს, რადგან მათზე შესაძლოა იმოქმედოს ძლიერმა ელექტრომაგნიტურმა გამოსხივებამ და გამოსვლონ მწყობრიდან.
- არ შეინახოთ უცხო საგნები ქურის ზედაპირზე.
- არ განათავსოთ ქურის ზედაპირზე აალებადი და ფეთქებადი ნივთიერებები.
- არ დადგეთ ქურის ზედაპირზე.
- არ დადოთ და არ დაგივარდეთ მძიმე საგნები ქურის ზედაპირზე.
- არ გამოიყენოთ უსწორმასწორო კიდეების მქონე ჭურჭელი. ნუ გადააადგილებთ ჭურჭელს ზედაპირზე გასრიალებით. ამან შესაძლოა დაკაწროს ზედაპირი, რაც გამოიწვევს მოწყობილობის სამუშაო თვისებების გაუარესებას.
- არ მოამზადოთ საკვები გატეხილ ან გაბზარულ ზედაპირზე. თუ ზედაპირი გატყდა ან გაიბზარა, დაუყოვნებლივ გამორთეთ იგი ელექტროქსელიდან და დაუკავშირდით კვალიფიციურ სპეციალისტს.
- არ გამოიყენოთ აქსესუარები, რომლებიც არ არის რეკომენდებული მწარმოებლის მიერ.
- მოწყობილობის ზოგიერთი ნაწილი მუშაობის პროცესში ძლიერად ცხელდება. დამწვრობის თავიდან ასაცილებლად, არ შეეხოთ ცხელ ზედაპირებს და მოერიდეთ სხეულის ან ტანსაცმლის კონტაქტს ინდუქციურ შუშასთან მის სრულ გაგრილებამდე.
- ლითონის საგნები, როგორიცაა დანები, ჩანგლები, კოვზები და თავსახურები, არ უნდა განთავსდეს ქურის ზედაპირზე, რადგან ისინი შესაძლოა გაცხელდეს.
- ქვაბის სახელურები შესაძლოა გაცხელდეს. თვალი ადევნეთ, რომ ქვაბის სახელურები არ იმყოფებოდეს ქურის სხვა ჩართული ზონების თავზე. არ მისცეთ ბავშვებს ქვაბის სახელურებზე შეხების უფლება.
- არ მისცეთ ბავშვებს ქურის ზედაპირზე დაჯდომის ან დადგომის უფლება.
- არ შეინახოთ ბავშვებისთვის საინტერესო საგნები მოწყობილობის ზემოთ არსებულ კარადებსა თუ თაროებზე. ბავშვები შესაძლოა აძვრნენ ქურის ზედაპირზე მათ ასაღებად და მიიღონ სერიოზული ტრავმები.
- არ დატოვოთ ბავშვები უმეთვალყურეოდ იმ ოთახში, სადაც ქურის ზედაპირი გამოიყენება.
- არ დატოვოთ მომუშავე მოწყობილობა უმეთვალყურეოდ. კერძის ამო დუღებამ ან გადმოსვლამ შესაძლოა გამოიწვიოს დაკვამლიანება და/ან აალება.

- აალების შემთხვევაში არ სცადოთ ცეცხლის წყლით ჩაქრობა. დაუყოვნებლივ გამორთეთ ელექტროენერგია და დააფარეთ ალს თავსახური, სქელი ქსოვილი ან გადასაფარებელი.
- გამოყენების შემდეგ ყოველთვის გამორთეთ ქურის ზედაპირი (იხ. განყოფილება „მუშაობის დასრულება“).
- მოწყობილობა არ არის განკუთვნილი გარე ტაიმერით ან დისტანციური მართვის ცალკეული სისტემით მართვისთვის.
- კარდიოსტიმულატორის მქონე პირებმა მოწყობილობის გამოყენებამდე კონსულტაცია უნდა გაიარონ ექიმთან.
- ელექტროშოკის თავიდან ასაცილებლად, არ დაშალოთ მოწყობილობა დამოუკიდებლად. მოწყობილობა არ შეიცავს ელემენტებს, რომელთა მომსახურებაც შესაძლებელია მომხმარებლის მიერ. მომსახურება და რემონტი, მათ შორის კვების კაბელის შეცვლა, უნდა შესრულდეს მხოლოდ ავტორიზებული სერვის-ცენტრის კვალიფიციური სპეციალისტების მიერ.
- მოცემული მოწყობილობა განკუთვნილია საყოფაცხოვრებო ან მსგავს პირობებში გამოყენებისთვის (მაგ: პერსონალის სამზარეულოები მაღაზიებში, ოფისებში, სასტუმროებში და ა.შ.). იგი არ არის განკუთვნილი კომერციული მიზნებისთვის.
- მოწყობილობა არ არის განკუთვნილი ბავშვებისათვის, აგრეთვე შეზღუდული ფიზიკური, სენსორული ან გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირთათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათზე ხორციელდება კონტროლი მათი უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ.
- ნებისმიერი სამუშაოს ან ტექნიკური მომსახურების დაწყებამდე გამორთეთ მოწყობილობა ელექტროქსელიდან.